

# ციფრული ტექნოლოგიები ბრენდინგში

# ციფრული ტექნოლოგიები ბრენდინგში

ავტორი: ეკატერინე კველიშვილი


ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება ტერმინი ციფრული ტექნოლოგიები, რომლის არსიც ზოგს უფრო მეტად ზოგს კი უფრო ბუნდოვნად ესმის. გარდა იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები საკმაოდ ხშირად არის გამოყენებული ცალკე, განყენებულად, მას ასევე სხვადასხვა კომბინაციაში იყენებენ, მაგალითად მარკეტინგთან ერთად.

როგორც ვიცით, ბრენდინგი მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია, რომლის წარმატებით განხორციელება, ხშირ შემთხვევაში ორგანიზაციის წარმატებულ მარკეტინგზე მიგვანიშნებს.

მარკეტინგი, ყოველთვის იქ ცდილობდა თავისი ძალების დემონსტრირებას და კომუნიკაციის საინტერესო ჯაჭვის გაბმას, სადაც ადამიანები და შესაბამისად მიზნობრივი აუდიტორია იყო. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს იყო რადიო, ტელევიზია, სხვადასხვა ტიპის ბეჭდური მედია და ა.შ. თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკომუნიკაციო საშუალებები ციფრულმა ტექნოლოგიებმა სწრაფი ტემპით შეცვალა და სოციალურმა მედიამ საკმაოდ დიდი წილი მოიკვა მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესში.

მრავალ საინტერესო შესაძლებლობასთან ერთად სოციალური მედია კომუნიკაციის ყველაზე იაფიანი საშუალებაა და 1000 ინდივიდის წვდომაზე რომ დავითვალოთ, მისი ფასი ყველაზე მომხიბვლელად გამოიყურება.

მედიის ღირებულება 1000 ინდივიდისათვის



ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მთავარი საიდუმლო, მხოლოდ ის არ არის, რომ ადამიანები სოციალურ ქსელებში და ზოგადად ვირტუალურ სამყაროში ატარებენ დიდ დროს, ან მხოლოდ ის, რომ ეს საკომუნიკაციო საშუალებები შედარებით იაფია, არამედ ისიც, რომ დილით, როდესაც ადამიანების გონება ინფორმაციის მიღებისთვის ყველაზე მეტად არის მზად, მომხმარებლის დიდი წილი სწორედ ამ დროს ათვალიერებს სოციალური ქსელის კედელს, რომელიც სხვადასხვა, ინფორმაციით დატვირთული გზებით ცდილობს მასში სიმპატიების გამოწვევას და მყარად გონებაში ჩაბეჭდვას. სოციალური მედიის მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ციფრული ტექნოლოგიები ხარისხიანი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა მომხმარებელთან, კომუნიკაცია უფრო სახალისო და საინტერესოა, მომხმარებლის ჩართულობის გაზრდა კი სხვა საკომუნიკაციო არხებთან შედარებით მარტივი.

## და მაინც რა არის ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგში?

ეს არის მარკეტინგი, რომელიც იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს და მისი დახმარებით ცდილობს კომუნიკაციას არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთან. უმეტესად, იყენებს ისეთ საშუალებებს, როგორც არის ინტერნეტი, მობილური ტელეფონები, სხვადასხვა ეკრანები, აპლიკაციები და სხვა ტექნოლოგიური საშუალებები.

რაც შეეხება ციფრული ტექნოლოგიების როლს ბრენდინგში, მისი გამოყენება ბრენდს აძლევს ორიგინალურობის, შემოქმედებითობის და ულტრათანამედროვეობის გამოხატვის მოქნილ ხელსაწყოებს. რა არის ბრენდი? სწორედ ის ასოციაციები, დამოკიდებულებები და შეგრძნებები, რომელიც კონკრეტულ პროდუქტთან გვაკავშირებს, ტექნოლოგიები კი მასთან დამაკავშირებელი კარგი გზაა.

დღეს უკვე ცნობილი და ყველა მოგზაურის საყვარელი აპლიკაცია Airbnb, რომელიც მსოფლიოს უმეტეს ბაზრებზე დიდი წარმატებით სარგებლობს სწორედ ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით გახდა მომხმარებლის „მეგობარი“ და მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

UX-მა (User Experience) უდიდესი როლი შეასრულა მის წარმატებაში, თავისი მარტივი, ინტუიტიური ვებ-გვერდითა და მობილური აპლიკაციით, რომელთა მეშვეობითაც კომპანია მის მომხმარებელს დაჯავშნის მარტივ გზას სთავაზობს. აპლიკაციაში მარტივი ვიზუალისაა წარმოდგენილი მეზობლად მიმდინარე საინტერესო ღონისძიებების თუ მოსანახულებელი ადგილების გამკვლევი. ზუსტად ის, რაც სჭირდება მოგზაურს, რელევანტური და აქტუალური ინფორმაცია - მარტივად, უშუალოდ, მეგობრულად და ხელმისაწვდომად.






# Find a Neighbourhood in London

What kind of neighbourhood are you looking for?

- Museums & the Arts 15
- Shopping 19
- Touristy 20
- Peace & Quiet 13
- Loved by Londoners 18
- Dining 23
- Great Transit 28
- Artsy 12
- West End 9
- Nightlife 13
- Along the River Thames 13


47 neighbourhoods. [See all listings](#)



## Balham

Casual pints on casual nights.


Tasty Food • Village Life • Family Friendly • The Bedford Club



## Battersea

Converting from shabby to chic.

Battersea Arts Centre • Green Parks • Riverside • Yummy Mummy





## Belgravia

High tea of the highest class.

Residential • Fashionable • Grand White Terraces • Foreign Embassies

პეპსიმ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს შექმნა 250 მლნ ინტერაქტიული ქილა, რომლის მეშვეობითაც შედგა 60 000 საათიანი ჩართულობა მომხმარებლის მხრიდან, მათ ხუთ ლიდერ ფეხბურთელთან შეეძლოთ ეთამაშათ ინდივიდუალური ფეხბურთი. კამპანიის მიზანი პროდუქტის ცნობადობის გაზრდა იყო, რამას შესანიშნავი შედეგი მოუტანა კომპანიას დაბალი დანახარჯით.



ცნობილი კოსმეტიკური კომპანია ლორეალი, თავისი აპლიკაციით მაკიაჟის გენიუსი (Makeup Genius), საშუალებას აძლევდა ქალებს არამხოლოდ კონკრეტული პროდუქტები მოერგოთ საკუთარ თავზე, არამედ იმავე მომენტში განეხორციელებინათ შესყიდვა. ვირტუალური სარკისა და სუპერ რეალური მაკიაჟის საშუალებით, ქალბატონები დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ შენაძენს.



ბრენდები, რომლებიც კონკრეტულ ემოციას იწვევენ ადამიანებში უფრო მეტად იბეჭდებიან მომხმარებელთა გონებაში ამას კი განსაკუთრებული ფუნქციონალურობით და დამატებითი ღირებულების შექმნით აღწევენ. ტექნოლოგიები თანამედროვე სამყაროში საშუალებას გვაძლევს უფრო მარტივად მივუახლოვდეთ მომხმარებელს და გავუმარტივოთ ან გავუღამაზოთ ცხოვრება.

ციფრული ტექნოლოგიები თითქმის ყველა დარგში უდიდეს როლს თამაშობს. ასევე მარკეტინგში, ციფრულმა ტექნოლოგიებმა წარმოქმნა ახალი საკომუნიკაციო არხები და დღითიდღე ავითარებს მათ, რითიც სულ უფრო მეტად უწყობს ხელს ბრენდების ჩამოყალიბებას.

PMO არის მენეჯმენტ საკონსულტაციო კომპანია, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული

განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.<sup>1</sup>

[www.pmo-bc.com](http://www.pmo-bc.com)

(+995 32) 2 37 73 07

[contact@pmo.ge](mailto:contact@pmo.ge)

ნ. ნიკოლაძის 7



---

<sup>1</sup> მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული ორიგინალური წყაროს გარეშე – [www.pmo-bc.com](http://www.pmo-bc.com)